



შენაბამოსობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

11 თებერვალი 2021 წელი

N 21/36

ეგზ. N 1

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018-2019
წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი		
	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოსილვა	4
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	7
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტის საგანი	7
	აუდიტის მასშტაბი	7
	აუდიტის კრიტერიუმები	8
	აუდიტის მიზანი	8
	აუდიტის მეთოდოლოგია	9
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
	2. აუდიტის მიგნებები	10
	დანართები	26
	საკონტაქტო ინფორმაცია	27

ტერმინები და შემოკლებები

მუნიციპალიტეტი – თვითმმართველი ერთეული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი.

მერია – თვითმმართველი ერთეულის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია.

საკრებულო – თვითმმართველი ერთეულის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

ი/მ – ინდივიდუალური მეწარმე.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფინანსური რესურსების მართვა

ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტის მიერ ქონების განკარგვა

სუბსიდია

ავტოპარკის მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა, რის გამოც შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2018-2019 წლებში, შესაბამისად, 34%¹ და 18%² დააკლდა.

დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

2018 წელს მუნიციპალიტეტში არსებული სტადიონების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდა მიმწოდებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. დაგეგმილი სამუშაოების დასასრულებლად ახალი ტენდერი არ გამოცხადებულა და პროექტები შეჩერებულია.

ქონების პრივატიზების პროცესის ხარვეზები

ქონების გასხვისების პროცესში მერია არ ითვალისწინებს ელექტრონული აუქციონის უპირატესობებს და ირჩევს საჯარო აუქციონის ფორმას. ასევე 2 შემთხვევაში ქონების შემძენმა პირებმა დაარღვიეს ხელშეკრულების პირობები და განსაზღვრულ ვადებში არ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები. მიუხედავად ამისა, მერიას (შესაბამის პასუხისმგებელ პირებს) არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები მუნიციპალიტეტის ქონებრივი ინტერესების დასაცავად.

არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენებული ქონება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქონების ნაწილი არაუფლებამოსილი პირების მიერ უკანონოდ გამოიყენება კომერციული საქმიანობისათვის. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მიერ ქონების კანონიერად განკარგვის მიზნით, არ არის გატარებული შესაბამისი ღონისძიებები. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ ქონების განკარგვა ხორციელდება კანონშეუსაბამოდ.

იურიდიული პირების სუბსიდიით დაფინანსების ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა ვერ წარმოადგინეს შესაბამისი და სარწმუნო მტკიცებულებები, ზოგიერთი საშტატო ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები რამდენად ეფუძნება დაწესებულებების რეალურ საჭიროებებს, ასევე მათი საქმიანობა რამდენად შეესაბამება ყოველდღიურ დატვირთვას.

სატრანსპორტო საშუალებების მართვაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სამორიგეო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, საშუალოდ, 26-30 ერთეულით აღემატება საქართველოს მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. მუნიციპალიტეტმა ხარჯი გასწია საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვის გარეშე.

¹ ვერ იქნა ათვისებული 1,792.9 ათასი ლარი.

² ვერ იქნა ათვისებული 1,194.7 ათასი ლარი.

**მმართველობითი
გადაწყვეტილებები****ჩატარებული ინვენტარიზაცია**

2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შესაბამისად, ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი. შედეგად, არსებობს რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

რეკომენდაციები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ

- ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნების და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.
- შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც დროულად უზრუნველყოფს მის საკუთრებაში არსებული ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ თვითნებურად გამოყენების პრევენციას. ასევე მუნიციპალიტეტმა მიიღოს შესაბამისი ზომები იმ პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ ქონების უკანონოდ გამოყენების აღკვეთა.
- შეისწავლოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობა და არსებული საკადრო პოლიტიკა; განსაზღვროს რამდენად პასუხობს მათი საქმიანობა მუნიციპალიტეტის მიზნებსა და ამოცანებს; მნიშვნელოვანია, განხორციელდეს ა(ა)იპ-ებში ადმინისტრაციის შტატით დასაქმებულთა უფლება-მოვალეობების და მათზე დახარჯული სახსრების ანალიზი. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას.
- განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას სააღრიცხვო მონაცემებთან; განსაზღვროს ინვენტარიზაციის განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირები, კონტროლზე აიყვანოს და უზრუნველყოს ინვენტარიზაციის ჩატარება, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პერიოდულობის შესაბამისად. აღნიშნული ხელს შეუწყობს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, აქტივების შენახვის, დაცვისა და ექსპლუატაციის წესების შესრულებას, ასევე ვალდებულებებისა და აქტივების აღრიცხვის გაუმჯობესებას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2018-2019 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ 2018-2019 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა

მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში – 22,693.8 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად³ განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
-)/ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ინსტრუქცია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;
-)/ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
-)/ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №41 დადგენილება;
-)/ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის №69 დადგენილება;
-)/ სხვა სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. აუდიტის ანგარიშში მათი გამოვლენის შემთხვევაში

³ 2018-2019 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით.

აისახება ნებისმიერი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებელისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ დოკუმენტური შემოწმება;
-)/ მონაცემთა ანალიზი;
-)/ ფიზიკური დათვალიერება;
-)/ ინტერვიუ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 14 ადმინისტრაციულ ერთეულს,⁴ მისი ფართობია 3529 კვ. კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა კი შეადგენს 20.8 ათასს.⁵ ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი დედოფლისწყარო.

2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები დახარჯულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 4,825.0 ათასი ლარი; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 193.4 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია – 9,816.6 ათასი ლარი; განათლება – 4,011.4 ათასი ლარი, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი – 2,420.7 ათასი ლარი და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 1,426.7 ათასი ლარი.

⁴ www.reestri.gov.ge.

⁵ www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge, 2019 წლის საშუალო წლიური მაჩვენებელი.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

2.1.1 ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადებისათვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁶ მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა შემდეგი შედეგების მიღწევა: ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში საბიუჯეტო პროცესი უნდა წარმართოს იმგვარად, რომ არ მოხდეს თავისუფალი ნაშთის უკონტროლო დაგროვება.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტებზე დაყრდნობით, შემოსულობებმა 2018-2019 წლებში – 22,699.0 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 22,693.8 ათასი ლარი შეადგინა.

ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი. შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2018-2019 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წელი			2019 წელი			საკასო შესრულების %
	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	
შემოსულობები	9,102.5	9,646.3	106%	12,302.0	13,052.7	106%	22,699.0
შემოსავლები	9,002.5	9,603.8	107%	12,228.5	12,982.6	106%	22,586.4
არაფინანსური აქტივების კლება	100.0	42.5	43%	73.5	70.1	95%	112.6
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	12,001.4	9,898.2	82%	14,798.2	12,795.6	86%	22,693.8
ხარჯები	6,707.5	6,397.2	95%	7,980.6	7,172.8	90%	13,570.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,293.9	3,501.0	66%	6,790.9	5,596.2	82%	9,097.2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	-	-	26.7	26.6	100%	26.6
ნაშთის ცვლილება	-2,898.9	-251.9	-	-2,496.2	257.1	-	-

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით, 2018 წელს დაბალია „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლის შესრულება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სარეალიზაციო ქონების ნაწილი არ გაიყიდა აუქციონზე.

⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1; მუხლი 77, პუნქტები: 8, 9; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

ორივე საანგარიშო წლისათვის მუნიციპალიტეტმა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი არასათანადოდ შეასრულა. კერძოდ, მერიამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა წყალმომარაგების სამუშაოები, საგზაო ინფრასტრუქტურის, საბავშვო ბაღის, სტადიონის, სკოლის ეზოს და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტი ფლობდა არსებითი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 2,898.9 ათასი ლარი, რომლის ხარჯვაც დაიგეგმა 2018 წლისათვის. 2018 წელს ნაშთის გამოყენებამ მხოლოდ 251.9 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 2,647.0 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 2,015.1 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

2019 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ნაშთის გამოყენება 2,496.2 ათასი ლარის ოდენობით, თუმცა ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ 257.1 ათასი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ფულადი ნაშთებიდან 2019 წელს არ დაგეგმილა 150.8 ათასი ლარის ხარჯვა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული თანხა დატოვებულ იქნა საჭიროების შემთხვევაში გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად. საბოლოოდ, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთი 2,904.1 ათასი ლარი იყო. აქედან, 1,698.9 ათასი ლარი – თავისუფალი ნაშთია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და ამასთანავე, დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი. აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნების და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

2.2 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

2.2.1 უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით.

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტმა განახორციელა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის, კულტურის სახლის შენობის (ნაწილი) გადახურვა.⁷

სამუშაოს შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი. ინსპექტირების ჯგუფის დადებითი შეფასებების საფუძველზე, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა სამუშაოები და მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა მათი ღირებულება. აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული პროექტი, რა დროსაც გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაო.⁸ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმირებული იყო მერის წარმომადგენელი⁹, თუმცა ხარვეზის გამოსწორების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები არ გატარებულა.

კულტურის სახლის გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაზიანების მიზეზია შესრულებული სამუშაოების დაბალი ხარისხი. შედეგად, კონტროლის მექანიზმებში არსებულმა სისუსტეებმა გამოიწვია უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა კონტროლის პროცედურები წარმართეს ისე, რომ ჩაიბარეს 7.8 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც შესრულებული იყო უხარისხოდ. შედეგად, სამუშაოები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას.¹⁰

რეკომენდაცია №2

მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები სრულდება ხარისხიანად და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; რეგულარულად აწარმოოს შესყიდული ობიექტების მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, აამოქმედოს გარანტიის მექანიზმი, ნაკლოვანებების/ხარვეზების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და ინფრასტრუქტურული პროექტებით სარგებლობის შესაძლებლობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

⁷ 2019 წელს შპს „გეოინჟინერინგთან“ გაფორმებული ხელშეკრულება №85, სოფელი ზემო მაჩხაანის, ღირებულება - 10.0 ათასი ლარი. CMR 190116730. ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 7.8 ათასი ლარი.

⁸ შენობის ახლად გადახურული ნაწილიდან ჩამოდის წყალი და ზიანდება შენობის კედელი.

⁹ სოფელ ზემო მაჩხაანის ადმინისტრაციულ ერთეულში.

¹⁰ აუდიტის მიმდინარეობისას მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს გამოასწორებინა დაფიქსირებული ხარვეზი.

2.2.2 დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების გეგმა-გრაფიკის ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისთვის გამოიყენება საჯარიმო სანქციები. ჯარიმების მიზანია მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევის პრევენცია. პრაქტიკის გათვალისწინებით, დაკისრებული ჯარიმა უნდა იყოს მიღებული ზარალის თანაბარზომიერი.

ფაქტობრივი გარემოება: 2018 წლის 2 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ გააფორმა ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის სოფლებში სტადიონების და სპორტული მოედნების მოსაწყობად.¹¹ ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.¹²

საკითხის შესწავლით გაირკვა, რომ მიმწოდებელს აღნიშნული სამუშაოები არ შეუსრულებია. აღსანიშნავია, რომ მიზეზები, რის გამოც მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფდა სამუშაოების დასრულებას, არ არის სათანადოდ არგუმენტირებული. წარმოდგენილი ინფორმაციით, კომპანიას გააჩნდა ფინანსური პრობლემები. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელს ხელშეკრულება შეუწყდა სამუშაოების დასრულების ვადის გასვლიდან 9 თვის შემდეგ.

მერიასა და შპს „სტანდარტი-ა“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები არ არის შესრულებული. შესაბამისად, მერიამ პროცესი ვერ წარმართა იმგვარად, რომ დროულად დაესრულებინა სამუშაოები.¹³ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმილი სამუშაოების დასასრულებლად ახალი ტენდერი არ გამოცხადებულა და პროექტი შეჩერებულია.

დასკვნა

2.3 მუნიციპალიტეტის მიერ ქონების განკარგვა

2.3.1 ქონების პრივატიზების პროცესის ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,¹⁴ მუნიციპალიტეტს უფლება აქვს ქონების პრივატიზება განახორციელოს როგორც ელექტრონული, ასევე საჯარო აუქციონის წესით, თუმცა საჯარო სექტორში მიღებული პრაქტიკის მიხედვით, უპირატესობა ელექტრონულ აუქციონს ენიჭება. მის უპირატესობას საჯარო აუქციონთან შედარებით განაპირობებს ის გარემოება, რომ მასში მონაწილეობა ქონების შემენით დაინტერესებულ პირთათვის ნაკლებ დროით/ფინანსურ დანახარჯთან არის დაკავშირებული. ასევე იზრდება ინფორმირებულ პირთა წრე და ვაჭრობის კონკურენტულ/გამჭვირვალე გარემოში წარმართვის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალური სარგებლის მიღებას.

¹¹ სოფელ ხორნაბუჯში მეგობრობის ქუჩაზე მდებარე მინი-სტადიონის რეაბილიტაციის, სოფ. სამრეკლოში მინი-სტადიონის რეაბილიტაციის, სოფელ ზემო ქედში ე.წ. „ქსნელების“ სტადიონის რეაბილიტაციის, სოფ. ქვემო ქედში მინი-სტადიონის რეაბილიტაციის, სოფელ ფიროსმანში არსებულ სტადიონზე ფრენბურთის მოედნის, გადახურული ტიპის სატრენაჟორო მოედნისა და მოედნის განათების მოწყობის სამუშაოები.

¹² ელექტრონული ტენდერი NAT180014273, ხელშეკრულება №100, მიმწოდებელი შპს „სტანდარტი-ა“, ღირებულებით - 61.0 ათასი ლარი.

¹³ მუნიციპალიტეტმა სამუშაოების არაჯეროვნად შესრულებისა და გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო, მიმწოდებელს დაარიცხა საჯარიმო სანქცია 3.9 ათასი ლარი, რომელიც გადახდილია. ამასთანავე, სამუშაოების შეუსრულებლობისათვის, მუნიციპალიტეტის მოთხოვნით მიმწოდებელი შეყვანილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს „შავ სიაში“.

¹⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 118; საქართველოს მთავრობის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ.“

ფაქტობრივი გარემოება 1: 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტმა განახორციელა 11 ობიექტის პრივატიზაცია. გასხვისებული ობიექტების ჯამურმა ღირებულებამ 62.9 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტმა ყველა შემთხვევაში გამოიყენა საჯარო აუქციონის ფორმა. საწყისი საპრივატიზებო ღირებულების დადგენა ხორციელდებოდა აუდიტორის შეფასების საფუძველზე. ვაჭრობის პროცესი ძირითადად უკონკურენტო გარემოში მიმდინარეობდა და პრეტენდენტები მხოლოდ ერთი ბიჯის მომატებით იმარჯვებდნენ. შედეგად, ობიექტების ჯამური საწყისი საპრივატიზებო ფასი – 59.9 ათასი ლარი მხოლოდ 5%-ით გაიზარდა. გამომდინარე აღნიშნულიდან, მერიამ დაკარგა ელექტრონული აუქციონის ფორმის გამოყენების საშუალებით უფრო მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

ფაქტობრივი გარემოება 2: მერიამ 2018 წლის ივნისში სოფელ ხორნაბუჯსა და სოფელ ფიროსმანში მდებარე 2 ობიექტი (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით) გაყიდა საპრივატიზებო პირობებით, შესაბამისი ღირებულებებით: 3675 ლარი¹⁵ და 1260 ლარი.¹⁶ ორივე შემთხვევაში მყიდველებს ჰქონდათ ვალდებულება, რომ ერთი წლის ვადაში განეხორციელებინათ შენობა-ნაგებობების სრული რეაბილიტაცია დემონტაჟის გარეშე. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განსაზღვრული იყო ვალდებულების 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში, აუქციონის შედეგები უქმდება და გამარჯვებულს გადახდილი თანხა არ უნაზღაურდება.

სოფელ ფიროსმანში მდებარე შენობასთან მიმართებით საპრივატიზებო პირობა არ არის შესრულებული, ხოლო სოფელ ხორნაბუჯში პრივატიზებული ობიექტის საპრივატიზებო პირობა შესრულდა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, დაახლოებით 2 წლის დაგვიანებით.

აღსანიშნავია, რომ ქონების შემძენების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მერიას საკუთარი ინტერესების დასაცავად შეეძლო გამოეყენებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები, თუმცა შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები ქონების გასხვისების პროცესში არ ითვალისწინებენ ელექტრონული აუქციონის უპირატესობებს და ირჩევენ საჯარო აუქციონის ფორმას, რაც უარყოფითად აისახება მუნიციპალიტეტის შემოსავლებზე. ასევე 2 შემთხვევაში, ქონების შემძენმა პირებმა დაარღვიეს ხელშეკრულების პირობები, კერძოდ, ერთ შემთხვევაში არ არის შესრულებული ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო მეორე შემთხვევაში შესრულდა დიდი დაგვიანებით. მიუხედავად ამისა, მერიას არ გაუტარებია

დასკვნა

¹⁵ საკ. კოდი: 52.06.34.023 (400 კვ.მ მიწის ნაკვეთი, 262.4 კვ.მ შენობა).

¹⁶ საკ. კოდი: 52.12.35.005 (940 კვ.მ მიწის ნაკვეთი, 336.89 კვ.მ შენობა).

სათანადო ღონისძიებები მუნიციპალიტეტის ქონებრივი ინტერესების დასაცავად.

2.3.2 არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენებული ქონება

კრიტერიუმი: სარგებლობის უფლებით ქონების გაცემის შედეგად მიღებული სახსრები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოიყენოს საკუთრებაში არსებული ყველა ქონება. მუნიციპალიტეტის ორგანოები ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებული არიან, დაიცვან მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის კანონიერი ინტერესები.¹⁷

ფაქტობრივი გარემოება: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გააჩნია ქონება, რომელიც არ არის განკარგული. საკითხის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის განუკარგავი ქონების ნაწილი არაუფლებამოსილი პირების მიერ უკანონოდ გამოიყენება კომერციული საქმიანობისათვის.¹⁸ შედეგად, ფართის უკანონოდ გამომყენებელი არ იხდის ქირას და მუნიციპალიტეტი ვერ იღებს შემოსავალს.

დასკვნა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქონების ნაწილი, არაუფლებამოსილი პირების მიერ უკანონოდ გამოიყენება კომერციული საქმიანობისათვის. რამდენადაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მდგომარეობა შემოწმდა შერჩევით, მაღალია რისკი, რომ არაუფლებამოსილი პირები იყენებდნენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა ობიექტებსაც. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მიერ ქონების კანონიერად განკარგვის მიზნით არ არის გატარებული შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №3

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მის საკუთრებაში არსებული ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ თვითნებურად გამოყენების პრევენციას. ასევე მუნიციპალიტეტმა მიიღოს შესაბამისი ზომები იმ პირების მიმართ, რომელთაც ევალუბოდათ ქონების უკანონოდ გამოყენების აღკვეთა.

2.4 სუბსიდია

2.4.1 იურიდიული პირების სუბსიდიით დაფინანსების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დაწესებულების ხელმძღვანელმა ორგანიზაციასა და მის დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა. აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ორგანიზაციაში უზრუნველყოფილ იქნეს ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება.¹⁹ შესაბამისად, იურიდიულ პირებში დასაქმებულთა რიცხოვნობა და მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრული უნდა იყოს რეალურ საჭიროებებზე დაყრდნობით.

ფაქტობრივი გარემოება 1: ა(ა)იპ – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის „სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრს 2018-2019 წლებში სუბსიდიის სახით მიღებული აქვს 617.2 ათასი ლარი, საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 442.7 ათასი ლარი (72%). დასაქმებულთა რაოდენობა 2018-2019

¹⁷ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 109-ე მუხლის მეორე პუნქტი.

¹⁸ ქ. დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 244 კვ.მ, 178 კვ.მ და 124 კვ.მ ფართობი უნებართვოდ გამოიყენება ღია ტიპის კაფეზად.

¹⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6.

წლებში შეადგენდა 50-50 ერთეულს. ა(ა)იპ-ის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სხვადასხვა სპორტული წრისა და ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულების მართვა. საკითხის შესწავლისას გამოვლინდა, რომ რიგი თანამდებობები იდენტური ფუნქცია-მოვალეობების მატარებელია, შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ ხელოვნურად არის გაზრდილი საშტატო ერთეულების რაოდენობა, მაგალითად:

-)/ დირექტორის 2 მოადგილის ძირითადი მოვალეობაა ცენტრის საქმიანობის ზედამხედველობა და ღონისძიებების მონიტორინგი. ამასთანავე, ა(ა)იპ-ში საშტატო განრიგით განსაზღვრულია სპორტული ღონისძიებების კოორდინატორის თანამდებობა.
-)/ განსაზღვრულია მწვრთნელების კურატორის 2 საშტატო ერთეული, რომელთა მოვალეობას წარმოადგენს სამწვრთნელო პროცესის დაკვირვება და კონტროლი. ფაქტობრივად იმავე ფუნქციებს ასრულებს მწვრთნელებისა და სპორტული სექციების მონიტორინგის სპეციალისტი.
-)/ ახალგაზრდობის სამსახურში დასაქმებულია 5 სპეციალისტი, რომელთა მოვალეობები ერთმანეთის მსგავსია. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ძირითად საქმიანობას ახორციელებს 2 თანამშრომელი, ხოლო დანარჩენი 3 სპეციალისტის მოვალეობაა მთავარი სპეციალისტის დახმარება.

ზემოაღნიშნული გარემოება მიანიშნებს, რომ ა(ა)იპ – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრში არ ხორციელდება დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოების, თანამშრომლის დატვირთვის, შტატების მიზანშეწონილობის და ეფექტიანობის გაანალიზება. შედეგად, განსახორციელებელი საქმიანობა დუბლირებულია, რაც იწვევს შრომის ანაზღაურების სახით თანხების არაპროდუქტიულ ხარჯვას.

ფაქტობრივი გარემოება 2: ა(ა)იპ – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრს 2018-2019 წლებში მიღებული აქვს 1,052.7 ათასი ლარი. შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია – 441.9 ათასი ლარი, რაც მთლიანი დაფინანსების 42%-ს შეადგენს. 2019 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ-ში დასაქმებული იყო 127 თანამშრომელი (მათ შორის, 65 – შტატით და 62 – ხელშეკრულებით). კულტურის ცენტრს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გააჩნია განყოფილებები, რომლებშიც ფუნქციონირებს შემოქმედებითი წრეები. მათი საქმიანობის შესწავლით და ობიექტების ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ ზოგ ადმინისტრაციულ ერთეულში დაწესებულებას არ გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა (შენობა-ნაგებობა, შესაბამისი ინვენტარი, სასწავლო პირობები და სხვ.). აღნიშნულ ობიექტებზე ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სოფლებში კულტურის სახლები არ ფუნქციონირებს, შემოქმედებითი წრეები განლაგებულია ადმინისტრაციული შენობების ცალკეულ ოთახებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტების დათვალიერებისას შესაბამისი მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი. შედეგად, არსებობს რისკი, რომ აღნიშნულ ობიექტებში საქმიანობა არ ხორციელდება. მიუხედავად

ამისა, ამ განყოფილებებში შრომის ანაზღაურება გაიცემა როგორც შტატით, ასევე შტატგარეშედ მიღებულ თანამშრომლებზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრში შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია კულტურის სახლთან არსებულ მომდერალთა ანსამბლ „აისელების“ ხელმძღვანელთან, თუმცა ანსამბლში წევრები (მომდერლები) არ ირიცხებიან. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია თაობათა ცვლით, რის გამოც ანსამბლის ახალი წევრები ამ ეტაპისათვის არ არიან მიღებული (სასწავლო წლის დასრულებიდან გასულია, დაახლოებით, 19 თვე).

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა ვერ წარმოადგინეს შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები – ზოგიერთი საშტატო ერთეულის ფუნქცია-მოვალეობები რამდენად ეფუძნება დაწესებულებების რეალურ საჭიროებებს, ასევე მათი საქმიანობა რამდენად შეესაბამება ყოველდღიურ დატვირთვას. ამასთანავე, საშტატო ერთეულების დატვირთვის გაანალიზებისას განხილულია მხოლოდ რამდენიმე მაგალითი. გამომდინარე აღნიშნულიდან, სპორტის და კულტურის წრეებში არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. შედეგად, ვერ მოხერხდა საშტატო ერთეულების ყოველდღიური დატვირთვის სრულად შესწავლა, თუმცა მიღებული შედეგის გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ სხვა საშტატო ერთეულებსაც არ გააჩნდეთ ყოველდღიური დატვირთვა.

რეკომენდაცია №4

მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობა და არსებული საკადრო პოლიტიკა; განსაზღვროს რამდენად პასუხობს მათი საქმიანობა მუნიციპალიტეტის მიზნებსა და ამოცანებს; მნიშვნელოვანია განხორციელდეს ა(ა)იპ-ებში ადმინისტრაციის შტატით დასაქმებულთა უფლება-მოვალეობების და მათზე დახარჯული სახსრების ანალიზი. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას.

2.5 ავტოპარკის მართვა

2.5.1 სატრანსპორტო საშუალებების მართვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: საბიუჯეტო ორგანიზაციებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობა, ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის ფორმა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით,²⁰ რომლის თანახმად, ავტომანქანების ზღვრული ოდენობა დამოკიდებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების საშტატო რიცხოვნობაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.²¹

²⁰ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“.

²¹ 2018 წლის 30 მარტის რედაქციით.

დასკვნა

ფაქტობრივი გარემოება: საქართველოს მთავრობის რეკომენდაციის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით, 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზანშეწონილი იყო 5 ერთეული სამორიგეო ავტომანქანა. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტი 2018 წელს სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 2 განპიროვნებული და 8 სამორიგეო ავტოსატრანსპორტო საშუალებით, ხოლო 2019 წელს – 2 განპიროვნებული და 11 სამორიგეო ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

სამორიგეო და განპიროვნებული ავტომანქანების გარდა, მუნიციპალიტეტი 2018 წელს საწვავს ყოველთვიურად გასცემდა საჯარო მოსამსახურეების მფლობელობაში არსებულ 23 ავტომანქანაზე, ხოლო 2019 წელს – 24 ავტომანქანაზე. პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე სულ გაცემულია 26.4 ტონა საწვავი, ჯამური ღირებულებით – 60.1 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ ავტომანქანების ზღვრული ოდენობის დაუცველობის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაფიქსირებულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებული ხარვეზი კვლავ მოუგვარებელია.

აუდიტის ობიექტს არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასა და საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით. აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, მუნიციპალიტეტმა ხარჯი გასწია საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვის გარეშე.

2.6 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

2.6.1 საკრებულოს წევრების ანაზღაურება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობრივ წევრებზე კანონმდებლობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას.²² მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. მერიის მიერ აღნიშნული ხარჯი უნდა ანაზღაურდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.²³

ფაქტობრივი გარემოება: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს 2018-2019 წლებში ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ სულ 92.9 ათასი ლარი.²⁴ საკრებულოს დადგენილებით,²⁵ აღნიშნულ პირებზე

²² საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

²³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

²⁴ 2018 წელი - 47.6 ათასი ლარი, 2019 წელი - 45.3 ათასი ლარი.

²⁵ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 სექტემბრის №34 დადგენილება (შეტანილია ცვლილება - 2018 წლის 13 აპრილის №29 დადგენილება, მუხლი 1).

ხარჯების ასანაზღაურებლად განსაზღვრული იყო ზღვრული მოცულობა, ყოველთვიურად 375 ლარი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც მუნიციპალიტეტს არ წარმოუდგენია.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრებზე კანონმდებლობის დარღვევით ანაზღაურებული ხარჯების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაფიქსირებულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებული პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 92.9 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

დასკვნა

2.7 მმართველობითი გადაწყვეტილებები

2.7.1 რეგიონული ა(ა)იპ-ის დაფინანსების საჭიროება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი ვალდებულია ბიუჯეტის შედგენისას და, შესაბამისად, ხარჯების დაგეგმვისას გაითვალისწინოს ის პრიორიტეტები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იქნება მიმართული.²⁶ შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან პროექტის/პროგრამის დაფინანსების შემთხვევაში, თვითმმართველობამ და ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა მიიღონ გაწეული ხარჯის შესაბამისი სარგებელი.

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ – კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს ანგარიშზე გრანტის სახით გადარიცხულია 47.5 ათასი ლარი.

სააგენტოს მიზანია ხელი შეუწყოს კახეთის ეკონომიკურ განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას, ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას, მეწარმეების გაძლიერებისთვის საჭირო ინფორმაციის/სერვისების მიწოდებას და რეგიონში ინვესტიციების მოზიდვას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აქტივობები განხორციელა ა(ა)იპ – კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტომ და შედეგად რა სარგებელი მიიღო თვითმმართველობამ.

2018-2019 წლებში ა(ა)იპ – კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს, მისი ფუნქცია-მოვალეობის შესაბამისი საქმიანობის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ღონისძიებები არ განხორციელებია. შედეგად,

დასკვნა

²⁶ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №41 დადგენილება და „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის №69 დადგენილება.

მუნიციპალიტეტის მიერ სააგენტოსათვის გადახდილი 47.5 ათასი ლარი არაეფექტიანი ხარჯია.

2.7.2 საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეული არარაციონალური ხარჯი

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობები, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით. მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების მიხედვით, სამსახურის ფუნქციებია მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ორგანიზება, ბიუჯეტის დაგეგმვა-ანალიზი, შემოსულობებისა და გადასახდელების განწერა, ბიუჯეტის შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს დებულებით ევალება საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაცია, მართვა და სხვ.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,²⁷ მუნიციპალიტეტი ვალდებულია მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართოს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1%.

ფაქტობრივი გარემოება: 2018 წელს მუნიციპალიტეტმა მემორანდუმში²⁸ გააფორმა ა(ა)იპ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციასთან. მემორანდუმის ფარგლებში, 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტმა ასოციაციას გადაუხადა 20.0 ათასი ლარი.

2018-2019 წლებში მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ სამსახურებში, ასევე შესყიდვების განყოფილებაში დასაქმებული იყო 11 თანამშრომელი, რომელთა ჯამურმა შრომის ანაზღაურებამ ამ პერიოდში 185.8 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო სამსახურში ისეთი კადრები დაესაქმებინა, რომელთაც გააჩნდათ კანონმდებლობის სათანადო ცოდნა, ამ ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარ-ჩვევები და შესაბამისად, დაიცავდნენ მერიის ინტერესებს სხვადასხვა მხარეებთან ურთიერთობაში, აგრეთვე უზრუნველყოფდნენ ბიუჯეტის შედგენა-შესრულებას, ქონების აღწერას და სხვ. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის თანახმად, მერიას შრომის ანაზღაურების არანაკლებ 1% უნდა მიემართა მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რაც არ განუხორციელებია. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ საკონსულტაციო მომსახურებისთვის ხარჯის გაღების მიზანშეწონილობა არ არის დასაბუთებული.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები იმისა, თუ რა აუცილებლობით იყო განპირობებული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა, ვინაიდან მუნიციპალიტეტს გააჩნია შრომითი რესურსი და ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს აღნიშნული საქმიანობის

²⁷ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 101, პუნქტი 2.

²⁸ მემორანდუმის თანახმად, ასოციაცია დახმარებას უწევს კორპორაციულ წევრს ბიუჯეტის ფორმირებაში, აგრეთვე მუნიციპალიტეტს უნდა გაუწიოს საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება, მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების, თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხებში და სხვ.

დასკვნა

განხორციელება. გამომდინარე აქედან, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებს არ უნდა განეხორციელებინათ საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯის გაწევა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი 20.0 ათასი ლარი არარაციონალური ხარჯია.

2.7.3

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის სახე, ოდენობა, შემოღების წესი და მოსაკრებლის გადამხდელთა უფლება-მოვალეობები რეგულირდება კანონით „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“. კანონის მიხედვით, ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.²⁹ ამ კანონით დადგენილი წესით ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილებით³⁰ დააწესა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი. მერია ვალდებულია უზრუნველყოს საკრებულოს მიერ განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირება.

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას (ამოღება) ახორციელებდა ა(ა)იპ – კომუნალური მომსახურების ცენტრი.³¹ დასუფთავების მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ შეადგინა: 2018 წელს – 43.5 ათასი ლარი, მათ შორის, ფიზიკური პირებისგან – 32.5 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირებიდან – 11.0 ათასი ლარი, 2019 წელს – 47.2 ათასი ლარი, მათ შორის, ფიზიკური პირებისგან – 36.2 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირებიდან – 11.0 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მოსაკრებლის ადმინისტრირებას 2018 წელს (მაისიდან) ემსახურებოდა ა(ა)იპ-ის – 8, ხოლო 2019 წელს – 10 თანამშრომელი, რომელთა შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 46.9 ათასი ლარი. შედეგად, 2018-2019 წლებში ა(ა)იპ – კომუნალური მომსახურების ცენტრის მიერ დასუფთავების მოსაკრებლის სახით ამოღებული თანხიდან (82.4 ათასი ლარი), 57% მიმართულია მოსაკრებლის ამკრეფი პირების შრომის ანაზღაურებაზე, რაც განხორციელებული საქმიანობის არაპროდუქტიულობაზე მიუთითებს.

აბონენტთა რაოდენობა და მისაღები შემოსავლები განისაზღვრება ა(ა)იპ-ის ინკასატორების მიერ თავიანთ სექტორში აღრიცხული გადამხდელების მიხედვით. გარდა აღნიშნული ინფორმაციისა, მუნიციპალიტეტმა ვერ წარადგინა საკმარისი და შესაბამისი მტკიცებულებები გადამხდელთა ბაზის სისრულესთან დაკავშირებით. შედეგად, მუნიციპალიტეტში არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღებ შემოსავალზე. ამასთანავე, ინკასატორები გადამხდელებისაგან მოსაკრებლის სახით იღებენ ნაღდ ფულს და შემდეგ რიცხავენ მუნიციპალიტეტის სახაზინო

²⁹ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი 1.

³⁰ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №36 დადგენილება.

³¹ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი. 2018 წლის მაისამდე მოქმედებდა შპს-ის სახით.

დასკვნა

ანგარიშზე, რაც ზემოაღნიშნული კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებებისა და არასრულყოფილი გადამხდელთა ბაზის პირობებში არაკეთილსინდისიერი ქმედებების რისკებს შეიცავს.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბიუჯეტით პროგნოზირებული დასუფთავების მოსაკრებელი განსაზღვრულია წინა წლებში მიღებული თანხის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა უზუსტობის მაღალ რისკს შეიცავს და შესაბამისად, შესაძლებელია დასუფთავების მისაღები მოსაკრებლის მოცულობაც არსებითად განსხვავდებოდეს მიღებულიდან.

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზა, რომლის მეშვეობით სრულდ ადირიცხებოდა მისაღები შემოსავალი. შედეგად, მუნიციპალიტეტი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღებ შემოსავალზე.

რეკომენდაცია №5

მერიამ საკრებულოს დადგენილების შესაბამისად უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრული ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება. ასევე შეიმუშაოს მოსაკრებლის გადახდევინების ინსტრუქცია და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სრულად მობილიზებას.

2.7.4 საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დაფინანსება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შეიმუშაოს პროგრამები/განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიებები და ამ მიზნით გააფორმოს ხელშეკრულებები შესაბამის დაწესებულებებთან.

სახელშეკრულებო პირობების შესრულების მიზნით, მუნიციპალიტეტმა უნდა დააწესოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები და შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს სათანადო ზომები.

ფაქტობრივი გარემოება: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა „მობილურ-ამბულატორიული კლინიკის პროგრამის“ განსახორციელებლად, 2018 და 2019 წლებში ხელშეკრულებები გააფორმა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან, ჯამური ღირებულებით – 104.0 ათასი ლარი (წლიურად 52.0 ათასი ლარი). პროგრამის მიზანი იყო მოსახლეობის სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო მდგომარეობის გაუმჯობესება, რომლის ფარგლებში დაიგეგმა შემდეგი ამოცანები:

-)/ საჭიროებაზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება სოციალურად დაუცველ ფენებს მუნიციპალიტეტის 16 სოფელში;
-)/ დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის პრევენცია უსაფრთხო ცხოვრებისათვის;
-)/ თემების ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანდაცვის მომსახურებაზე.

პროგრამის მიხედვით, ერთი წლის განმავლობაში მომსახურება უნდა მიეღო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ, დაახლოებით, 5000 მოსახლეს.

დასკვნა

აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა შესაფერისი და საკმარისი დოკუმენტური მტკიცებულებები – მუნიციპალიტეტის მიერ რამდენად იყო განხორციელებული მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლითაც იდენტიფიცირებული იქნებოდა სოფლებში მაღალი რისკის ჯგუფები და სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მერიას პროგრამის ფარგლებში გახარჯულ თანხებზე არ განუხორციელებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონიტორინგი.

მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნია ინფორმაცია რამდენ სოციალურად დაუცველ პირს გაეწია სამედიცინო დახმარება. შედეგად, მერიის მიერ არ არის შესწავლილი გახარჯული თანხების ეფექტიანობა და ღონისძიებების შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან.

2.7.5 ჩატარებული ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: კანონმდებლობის თანახმად,³² საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც.

ინვენტარიზაცია უნდა დასრულდეს საანგარიშგებო წლის ბოლოს. შედეგების გამოსავლენად ორგანიზაციის ბუღალტერია ადგენს შესაბამის შედარების უწყისებს, სადაც აისახება ინვენტარიზაციის შედეგები – სხვაობა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და ინვენტარიზაციით დადგენილ ფაქტობრივ ნაშთებს შორის.

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით გამოცემულია შესაბამისი ბრძანებები, თუმცა პროცესი არ არის დასრულებული. კერძოდ, არ არის შედგენილი საინვენტარიზაციო აქტი და არ არის გამოყვანილი ინვენტარიზაციის შედეგები. გარდა ამისა, არ არის გამოვლენილი გამოუყენებელი აქტივები და არ შემოწმებულა ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობა. არ განხორციელებულა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.

დასკვნა

გამოვლენილი გარემოების შედეგად დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის №605 ბრძანების მოთხოვნები. შედეგად, მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი აქტივების და სხვა რესურსების დაკარგვის, დაზიანების, არამართლზომიერი გამოყენების ან მართვის რისკები.

მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას სააღრიცხვო მონაცემებთან; განსაზღვროს ინვენტარიზაციის განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირები, კონტროლზე

რეკომენდაცია №6

³² „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

აიყვანოს და უზრუნველყოს ინვენტარიზაციის ჩატარება, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პერიოდულობის შესაბამისად. აღნიშნული ხელს შეუწყობს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, აქტივების შენახვის, დაცვისა და ექსპლუატაციის წესების შესრულებას, ასევე ვალდებულებებისა და აქტივების აღრიცხვის გაუმჯობესებას.

2.8 შიდა აუდიტი

2.8.1 შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარვეზები

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია ორგანიზაციაში არსებული სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება.

სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.³³

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულია 16 აუდიტი, მათ შორის ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში – 13, ხოლო მერიის სტრუქტურულ ერთეულებში – 3 აუდიტი. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები (მიგნებები). შიდა აუდიტის ანგარიშების შესწავლით გაირკვა, რომ არ არის გაანალიზებული დარღვევების გამომწვევი მიზეზები და შიდა კონტროლის სისტემები, არ არის გამოვლენილი სისტემური ხასიათის რისკები. გამოვლენილ დარღვევებზე გაცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, ამიტომ აღნიშნული რეკომენდაციები ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. ამასთანავე, არ არის შედგენილი და აუდიტის ობიექტისათვის წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2018-2019 წლებში არასათანადოდ არის მომზადებული საქმიანობის წლიური ანგარიშები. კერძოდ, წლიურ ანგარიშებში არ არის ასახული კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია:

-)/ ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები აუდიტის ობიექტებში არსებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესახებ;
-)/ შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული შესაბამისი ქმედებები;
-)/ წინადადებები შიდა აუდიტის განვითარების შესახებ.

შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუსწავლია ორგანიზაციაში არსებული პროცესების და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოვლენია სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით, არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები. ამასთანავე, შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას და დასახული მიზნების მიღწევას,

დასკვნა

³³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.

რეკომენდაცია №7

**2.8 წინა პერიოდში
ჩატარებული აუდიტის
შედეგად გამოვლენილი
დარღვევა -
ნაკლოვანებების
მდგომარეობა**

რისკების მართვას და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. გამომდინარე აღნიშნულიდან, 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახური ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებდა არასათანადოდ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარად წარმართვა, რომ შესაძლებელი იყოს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლა და შეფასება, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენა. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

ფატორივი გარემოება: 2017 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები.

მიმდინარე აუდიტის პერიოდში აღმოჩნდა, რომ დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მუნიციპალიტეტმა გაატარა სხვადასხვა ღონისძიება, თუმცა 4 საკითხთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტმა საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებებით ვერ აღმოფხვრა აუდიტის ანგარიშში ასახული ხარვეზები, კერძოდ:

-)/ მუნიციპალიტეტს კვლავ გააჩნია საკუთარ ანგარიშზე მნიშვნელოვანი თავისუფალი ნაშთები;
-)/ არარაციონალურად იხარჯება სატრანსპორტო საშუალებების საწვავისა და მოვლა-შენახვისთვის გამოყოფილი თანხები;
-)/ საკრებულოს არათანამდებობის წევრებზე ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მიმდინარე აუდიტის ფარგლებშიც არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები;
-)/ შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებასა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

აუდიტორები

ბადრი ჯანჯღავა
წამყვანი აუდიტორი

თათია ამბროლაძე
აუდიტორი

ხელმოწერა




დანართები

დანართი

კულტურის ობიექტების შენობა-ნაგებობების შესახებ

№	სოფელი	პროფილური შენობა	დასაქმებულთა რაოდენობა
1.	ოზაანი	არ არის	4
2.	არხილოსკალო	არ არის	2
3.	მირზაანი	არ არის	1
4.	ზემო მაჩხაანი	ავარიულ მდგომარეობაშია და არ ფუნქციონირებს	5

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38